



# რეკომენდაციები საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით

*საქართველს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია*

*სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზღვარგარეთის*

*საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო*

*10 თებერვალი, 2016*



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის პროექტი სახელწოდებით – „საარჩევნო კანონმდებლობის გაუმჯობესება“ ფინანსურად მხარდაჭერილია „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED)-ის მიერ. წარმოდგენილ რეკომენდაციებში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას, „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ და „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებას“ და, შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციის შეხედულებებს.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

|  |    |
|--|----|
| 1. შესავალი .....  | 3  |
| 2. საარჩევნო სისტემა .....   | 3  |
| 3. გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი უზნაბი .....                    | 4  |
| 4. საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტება .....                    | 7  |
| 5. ადმინისტრაციული რესურსი .....                                   | 9  |
| 6. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინსტიტუციური დამოუკიდებლობა ..... | 10 |
| 7. ამომრჩევლის მოსყიდვა .....                                      | 10 |
| 8. საარჩევნო ღირებულებები .....                                    | 11 |
| 9. მედია რეგულაციები .....   | 13 |

## 1. შესავალი

2011 წლიდან დღემდე, მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტმა ახალი საარჩევნო კოდექსი დაამტკიცა,<sup>1</sup> საარჩევნო კანონმდებლობაში არაერთი ცვლილება შევიდა, რამაც ხელი შეუწყო მთელი რიგი საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრას. თუმცა, ისეთი ფუნდამენტური ცვლილებები, რომლებიც რეალურად გააუმჯობესებდა საარჩევნო გარემოს, არ განხორციელებულა.<sup>2</sup> კვლავაც პრობლემად რჩება საარჩევნო სისტემის,<sup>3</sup> საარჩევნო დავების გადაწყვეტის, საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების, ამომრჩეველთა მოსყიდვის, მედიარეგულაციისა და სხვა საკითხები.

გასული წლების წინასაარჩევნო, არჩევნების დღისა და შემდგომი პერიოდის პრაქტიკული და საკანონმდებლო ხარვეზების, ასევე, საერთაშორისო სტანდარტების გაანალიზების საფუძველზე, საიამ, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ და საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ შეიმუშავეს რეკომენდაციები, რომლებიც წინამდებარე დოკუმენტშია წარმოდგენილი. აღნიშნული რეკომენდაციები შეეხება საარჩევნო კანონმდებლობაში არსებულ რიგ პრობლემებს და მათი გათვალისწინება ხელს შეუწყობს მომავალში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებას.

## 2. საარჩევნო სისტემა

### პრობლემის არსი

საქართველოში საარჩევნო სისტემას რამდენიმე ძირითადი უარყოფითი მხარე გააჩნია,<sup>4</sup> რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია კონკრეტული პარტიის მიერ მიღებული ხმებისა და მის მიერ პარლამენტში მოპოვებული მანდატების არაპროპორციული ასახვა. პრობლემას წარმოადგენს, ასევე, ამომრჩეველთა ხმების დაკარგვის საფრთხე. აქედან გამომდინარე, საარჩევნო სისტემა არაერთხელ გამხდარა როგორც საერთაშორისო,<sup>5</sup> ასევე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების კრიტიკის საგანი.<sup>6</sup>

გარდა ამისა, რიგ შემთხვევებში, მნიშვნელოვნად არის დარღვეული კავშირი მაჟორიტარ კანდიდატებსა და ამომრჩევლებს შორის, რაც გამოიხატება მაჟორიტარი დეპუტატების პასიურობაში ამომრჩეველთან ურთიერთობის თვალსაზრისით. მაჟორიტარი დეპუტატების უმრავლესობას მოსახლეობასთან შეხვედრები არ აქვს ან ეს იშვიათ ხასიათს ატარებს. შესაბამისად, დაბალია მაჟორიტარი დეპუტატების ცნობადობა.<sup>7</sup>

აღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე, ვენეციის კომისიისა და ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის რეკომენდაცია წლების განმავლობაში იყო საარჩევნო სისტემების გადახედვა, ორივე – საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის.<sup>8</sup>

მიუხედავად იმისა, რომ 2013 და 2014 წლებში საკანონმდებლო რეფორმის ფარგლებში ცალკეული ცვლილებები განხორციელდა, რაც დადებითად შეიძლება შეფასდეს, **საერთო ჯამში, საარჩევნო სისტემის ფუნდამენტური ცვლილება, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა საარჩევნო გარემოს და რისი მოლოდინიც საზოგადოებას ახალი ხელისუფლების დანაპირების საფუძველზე ჰქონდა, არ განხორციელებულა.** ამის მიზეზად, უმთავრესად დასახელებული იყო არჩევნებამდე დარჩენილი მცირე დრო და ძირეული ცვლილებების განხორციელების სირთულე.

ხელისუფლებამ საარჩევნო სისტემის არსებითი ცვლილება 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის არ განახორციელა და ეს პროცესი სამომავლოდ გადადო. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის შენარჩუნდა მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა და მოხდა ოლქების საზღვრების გათანაბრება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ასევე, მაჟორიტარული არჩევნებისთვის დაწესდა 50%-იანი ბარიერი.

აღსანიშნავია, რომ საარჩევნო ოლქების ახლებური ფორმირება არ ემყარება ნათელ და მკაფიო კრიტერიუმებს. რიგ შემთხვევაში, შეინიშნება არაერთგვაროვანი მიდგომა საკითხის გადაწყვეტისას, რაც, საერთო

<sup>1</sup> <https://gyla.ge/uploads/publications/2012/p190.pdf>.

<sup>2</sup> [http://www.electionportal.ge/uploads/reforms/13/Analysis\\_of\\_the\\_Amendments\\_Final\\_GEO.pdf](http://www.electionportal.ge/uploads/reforms/13/Analysis_of_the_Amendments_Final_GEO.pdf).

<sup>3</sup> საარჩევნო სისტემის ცვლილებასთან დაკავშირებით, საიამ, პარტნიორ ორგანიზაციებთან - სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება და საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოსთან ერთად, ჯერ კიდევ 2015 წლის იანვარში წარმოადგინა რეკომენდაცია, რომელიც ყველაზე მეტად პასუხობს საქართველოში საარჩევნო სისტემის კუთხით დღეს არსებულ გამოწვევებს და უზრუნველყოფს ამომრჩეველთა ხმების პროპორციულად გარდასახვას მანდატებში, ერთი ხმის თანაბრობის პრინციპსა და მინიმუმამდე ამცირებს დაკარგული ხმების რაოდენობას. ამასთან დაკავშირებით, თავისი რეკომენდაცია წარმოადგინა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ 2014 წლის 1 ოქტომბერს საქართველოსთან დაკავშირებით მიღებულ რეზოლუციაში (<http://assembly.coe.int/nw/xml/ERef/X2H-Xref-ViewPDF.asp?FileID=21275&lang=en>).

<sup>4</sup> სამართლიანი არჩევნები „რატომ უნდა შეიცვალოს საარჩევნო სისტემა საქართველოში?“ 2014 წელი, <http://www.isfed.ge/main/783/geo/>

<sup>5</sup> EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION) AND OSCE OFFICE FOR DEMOCRATIC INSTITUTIONS AND HUMAN RIGHTS (OSCE/ODIHR) JOINT OPINION ON THE DRAFT ELECTION CODE OF GEORGIA, 2011;

<sup>6</sup> საიას, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოსა და სამართლიანი არჩევნების ერთობლივი რეკომენდაციები (2011 წელი, 2014 წელი)

<sup>7</sup> ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მონაცემებით, 2015 წლის აპრილის კვლევის თანახმად, ამომრჩეველთა 65%-მა არ იცის, ვინ არის მისი მაჟორიტარი დეპუტატი პარლამენტში. იხ. ინფორმაცია: [https://www.ndi.org/files/NDI%20Georgia\\_April%202015%20Poll\\_Public%20Issues\\_GEO\\_VF\\_0.pdf](https://www.ndi.org/files/NDI%20Georgia_April%202015%20Poll_Public%20Issues_GEO_VF_0.pdf)

<sup>8</sup> EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION) AND OSCE OFFICE FOR DEMOCRATIC INSTITUTIONS AND HUMAN RIGHTS (OSCE/ODIHR) JOINT OPINION ON THE DRAFT ELECTION CODE OF GEORGIA, 2011;

ჯამში, აჩენს კითხვებს საარჩევნო ოლქების ამ სახით ჩამოყალიბების მართებულობის შესახებ, ამასთან, იწვევს საზოგადოების დაინტერესებებს იმ გარემოებით, რომლებიც, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღების განმსაზღვრელი გახდა. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული რეფორმა ვერ უმკლავდება არსებული საარჩევნო სისტემის გამოწვევებს.<sup>9</sup> გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ცვლილებები დაიგეგმა და განხორციელდა დაბალი საზოგადოებრივი ჩართულობის პირობებში, რაც ეწინააღმდეგება საარჩევნო ოლქების გადასინჯვის საერთაშორისო სტანდარტს.<sup>10</sup> ასევე, არსებობს მაღალი ალბათობა, რომ ოლქების დაყოფამ და შეერწყმამ გარკვეული დაბნეულობა გამოიწვიოს და დამატებითი ბარიერები შეუქმნას მოსახლეობას. ჩნდება კითხვები უშუალოდ საარჩევნო პროცესების ადმინისტრირებასთან დაკავშირებითაც, მაგალითად, როგორ უნდა წარმართოს დეპუტატობის კანდიდატმა წინასაარჩევნო კამპანია, როგორ უნდა მოხდეს სხვა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საარჩევნო უბნების უზრუნველყოფა საარჩევნო დოკუმენტაციით, როგორ უნდა განხორციელდეს ხმების დათვლა.

მიგვაჩნია, რომ განხორციელებული ცვლილებები მხოლოდ ნაწილობრივ ეხმარება მოქმედი საარჩევნო სისტემის პრობლემებს და კომპლექსურად ვერ უზრუნველყოფს ყველა იმ გამოწვევის აღმოფხვრას, რაც არსებულ შერეულ საარჩევნო სისტემას გააჩნია. მაგალითად, არ ხდება ამომრჩეველთა ხმების პროპორციულად გარდასახვა მანდატებში, რაც ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. შესაბამისად, აღნიშნული ცვლილებები არ არის საკმარისი ქვეყანაში უფრო სამართლიანი საარჩევნო სისტემისა და გარემოს ჩამოსაყალიბებლად.<sup>11</sup>

### რეკომენდაცია

ხელისუფლებამ უნდა მიიღოს ისეთი საარჩევნო სისტემა, რომელიც გადაჭრის მოქმედი სისტემით არსებულ პრობლემებს და უზრუნველყოფს საქართველოს მოქალაქეთა მიერ არჩევნებში გამოვლენილი ნების პროპორციულად ასახვას მანდატებში. მხოლოდ ამ შემთხვევაში მივიღებთ თანასწორ და სამართლიან საარჩევნო გარემოს.

შესაბამისად, არსებული გამოწვევების გადასაჭრელად, **მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის გაუქმება და 2016 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნების პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარება.** 2015 წლის 30 მაისს 8 არასამთავრობო ორგანიზაციისა და 14 პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებმა, პრეზიდენტის ინიციატივით გამართულ კონფერენციაზე საარჩევნო სისტემის რეფორმასთან დაკავშირებით, გააფორმეს შეთანხმება, რომლის თანახმად, ქვეყანაში სამართლიანი არჩევნების უზრუნველსაყოფად მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა უნდა გაუქმდეს და არჩევნები მხოლოდ პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარდეს. კერძოდ, შეთავაზებული რეკომენდაციით, საქართველოს პარლამენტი უნდა შედგებოდეს ერთიანი პროპორციული სისტემით არჩეული 75 და სამხარეო პროპორციული სისტემით არჩეული 75 დეპუტატისგან.<sup>12</sup>

მიგვაჩნია, რომ პროპორციული სისტემა ყველაზე უკეთ პასუხობს არსებულ გამოწვევებს. აღსანიშნავია, რომ სამხარეო პროპორციული სისტემის განხილვა, ასევე, არის ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაცია, რომელიც მოცემულია 2014 წლის 1 ოქტომბერს საქართველოსთან დაკავშირებით მიღებულ რეზოლუციაში.<sup>13</sup>

პროპორციული სისტემის დადებით მხარეებს წარმოადგენს: ამომრჩეველთა ნების პროპორციულად ასახვა მანდატებში; ამომრჩეველთა დაკარგული ხმების მინიმუმამდე შემცირება; ხმის წონის თანაბრობის უზრუნველყოფა; გეოგრაფიული წარმომადგენლობის უზრუნველყოფა; მცირე პარტიების წარმომადგენლობის ხელშეწყობა; ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა.

მიგვაჩნია, რომ სისტემის გაუმჯობესება და თავისუფალი და სამართლიანი საარჩევნო გარემოს შექმნისათვის აუცილებელია, ხელისუფლებამ გაითვალისწინოს საარჩევნო სისტემაზე მომუშავე წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური სპექტრის ერთიანი ხედვა საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატაროს. თანამედროვე საქართველოს ისტორიაში საარჩევნო სისტემის თაობაზე პოლიტიკურ და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ასეთი ფართო კონსენსუსი აქამდე არასოდეს შემდგარა და ხელისუფლების მხრიდან ამის უგულებელყოფა არაგონივრული იქნება.

## 3. გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საარჩევნო უბნები

### პრობლემის არსი

საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, ე.წ. „სპეციალური საარჩევნო უბნები“ შეიქმნება შეიქმნას სამხედრო ნაწილში, რომელშიც არის 50-ზე მეტი ამომრჩეველი (სამხედრო მოსამსახურე, ოფიცერი,

<sup>9</sup> <https://gyla.ge/post/saiam-saarchevno-cvilebebtan-dakavshirebit-saqartvelos-parlaments-daskvna-tsarudgina>

<sup>10</sup> საზაზისო ანგარიში: დემოკრატიული არჩევნებისათვის ეუთოს სახელმძღვანელო პრინციპები. მესამე ნაწილი. გვ.55.

<sup>11</sup> <https://gyla.ge/post/saiam-saarchevno-cvilebebtan-dakavshirebit-saqartvelos-parlaments-daskvna-tsarudgina> <http://www.isfed.ge/main/934/geo/>

<sup>12</sup> <http://www.isfed.ge/main/904/geo/>

<sup>13</sup> <http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/X2H-Xref-ViewPDF.asp?FileID=21275&lang=en>

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სპეციალური წოდების მქონე პირი), საავადმყოფოში და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში, რომელშიც არის 50-ზე მეტი ამომრჩეველი და სხვა.

როგორც ვხედავთ, საარჩევნო კოდექსის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტი ადგენს გამონაკლის შემთხვევებში საარჩევნო უბნის შექმნის შესაძლებლობებს და არა – სავალდებულო წესს. შესაბამისად, ბუნდოვანია საკითხი, თუ რა შემთხვევაში იღებს საოლქო საარჩევნო კომისია გადანყვეტილებას საარჩევნო უბნის შექმნის ან არშექმნის თაობაზე, როდესაც ამომრჩეველთა რაოდენობა 50-ს აღემატება.

ამასთან, ზემოაღნიშნული ჩამონათვალი ამომწურავად არ განსაზღვრავს, თუ სად და რა საფუძვლით შეიძლება შეიქმნას საარჩევნო უბანი. კერძოდ, 23-ე მუხლში აღნიშნულია, რომ გარდა მოცემული ჩამონათვლისა, საარჩევნო უბანი შესაძლებელია შეიქმნას ასევე – „და სხვა“ შემთხვევაში, რაც სპეცუბნების თაობაზე დაუსაბუთებელი და შეუზღუდავი გადანყვეტილების მიღების საფუძველს იძლევა. 23-ე მუხლის მე-4 პუნქტი ასევე ადგენს, რომ სამხედრო ნაწილში (შენაერთში), რომელშიც ამომრჩეველთა (სამხედრო მოსამსახურეთა) რაოდენობა 50-ს არ აღემატება, საარჩევნო უბანი შეიძლება შეიქმნას სამხედრო უწყების ხელმძღვანელის დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. შესაბამისად, კოდექსის დათქმა – „საარჩევნო უბანი შეიძლება შეიქმნას სამხედრო უწყების ხელმძღვანელის დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე“ – ბუნდოვანია, ვინაიდან გაურკვეველია, თუ რა შეიძლება იყოს დასაბუთებული მოთხოვნა ან ამ მოთხოვნაზე თანხმობის ან უარის მიზეზი იმ უბნის შექმნისთვის, რომელსაც 50-ზე ნაკლები ამომრჩეველი ჰყავს.

აღნიშნულმა ნორმამ წარსულში არაერთი შეკითხვა წარმოშვა. ხსენებული დეფინიციის ფარგლებში, გარდა სამხედრო ნაწილებისა, საარჩევნო უბნები იქმნებოდა, ასევე, პოლიციის დანაყოფებში, საპრობილევებში, სახელმწიფო დაცვის სამსახურებში და ა.შ.

შესაბამისად, ისმის კითხვა, არის თუ არა პოლიცია სამხედრო ნაწილი? არის თუ არა პოლიციაში, სახელმწიფო დაცვის სამსახურსა და თავდაცვის სამინისტროში მომუშავე ყველა პირი სამხედრო მოსამსახურე?

საარჩევნო ადმინისტრაციისა და სასამართლოს მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციის თანახმად, ტერმინ „სამხედრო ნაწილში“ იგულისხმებოდა ასევე პოლიცია, ხოლო სამხედრო მოსამსახურეში – შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურე. აღნიშნული ინტერპრეტაცია ეყრდნობოდა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველ მუხლს, რომლის თანახმადაც, „საქართველოს პოლიცია არის აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი სამართალდამცავი, სპეციალური, პოლიციური და გასამხედროებული დაწესებულებების სისტემა...“ (ძველი რედაქცია).

მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული ნორმის ამგვარი ინტერპრეტაცია იყო არასწორი, რადგან, კანონის თანახმად, პოლიცია წარმოადგენს სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების, მათ შორის, გასამხედროებული დაწესებულებების სისტემას. ანუ, სიტყვა „გასამხედროებული“ არვრცელდება პოლიციის ყველა ქვედანაყოფზე, არამედ, მხოლოდ გასამხედროებულ დანაყოფებზე. აღნიშნულს ადასტურებს საქართველოს პრეზიდენტის არაერთი განკარგულება „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა განვევის შესახებ“, რომელთა მიხედვითაც, საქართველოს პრეზიდენტი შინაგან საქმეთა სამინისტროს უდგენს ნვევამდელთა ოდენობას, რომლებიც შსს-ს დაქვემდებარებულ გასამხედროებულ ქვედანაყოფებში უნდა გაინვიონ, რაც იმას ნიშნავს, რომ პოლიციის ყველა დანაყოფი არ წარმოადგენს სამხედრო დანაყოფს.

2008 და 2010 წლების არჩევნებში სასჯელალსრულების დაწესებულებების თანამშრომელთა სრული შემადგენლობა ხმას სამუშაო ადგილის (და არა რეგისტრაციის ადგილის) მიხედვით აძლევდა. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ, გაურკვეველი მიზეზების გამო, სასჯელალსრულების დაწესებულებათა თანამშრომლებისგან არჩევნების დღეს სამსახურში მისვლას მოითხოვდნენ და ხმასაც სწორედ იქ აძლევდნენ.

შესაბამისად, 2010 წელს ასეთმა ამომრჩეველებმა იმ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (როგორც პროპორციული, ისე მაჟორიტარული წესით) დაკომპლექტებაში მიიღეს მონაწილეობა, რომელთა ქვემდებარე ტერიტორიაზეც არ ცხოვრობდნენ.

2012 წლის საქართველოს პარლამენტის „არჩევნების დღეს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ ზოგიერთი სპეციალური „სამხედრო“ უბანი ქარხნებსა და თავდაცვის სამინისტროს სარემონტო სახელოსნოებში იყო განლაგებული. ფაქტობრივად, ისინი სამინისტროს სამოქალაქო თანამშრომლებს ემსახურებოდნენ, რომლებიც მათი რეგისტრაციის ადგილზე არსებული ჩვეულებრივი საარჩევნო უბნებიდან ამ უბნებზე იყვნენ მიმაგრებული.“<sup>14</sup>

ეს პრაქტიკა საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტს ეფუძნება. ამ ნორმის თანახმად, საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს (ისევე, როგორც რამდენიმე სხვა უწყების) ის თანამშრომლები, რომელთა სამსახურის პირობები მათი რეგისტრაციის ადგილისგან განსხვავებულ მისამართზე ყოფნას მოითხოვს, ამომრჩეველთა ერთიან სიაში სამუშაო ადგილის მიხედვით არიან შეყვანილი.

აქვე უნდა აღინიშნოს ის პოზიტიური ტენდენცია, რომელიც დაფიქსირდა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს შესაძლებლობა მიეცათ, არჩევანი გაეკეთებინათ საკუთარი საცხოვრებელი (რეგისტრაციის) ადგილის მიხედვით, მაგალითად, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე,

<sup>14</sup> ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიში 2012 წლის 1 ოქტომბრის საქართველოს საპარლამენტო არჩევნებზე. ვარშავა. 2012 წლის 21 დეკემბერი. გვ.16.



რაც არჩევნების პოზიტიურად ჩატარების მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორი იყო. საგრძობლად შემცირდა სპეცუბნების რაოდენობა: 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე არსებული 71 საარჩევნო უბნის ნაცვლად, საპრეზიდენტო არჩევნებზე მხოლოდ 34 სპეცუბანი შეიქმნა,<sup>15</sup> ხოლო 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინიციატივით, სპეციალური საარჩევნო უბნების რაოდენობა 9-მდე შემცირდა. სამხედრო მოსამსახურეები ხმას, ძირითადად, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით აძლევდნენ. მსგავსი ინიციატივა პოზიტიურია და განსხვავდება მანამდე არსებული პრაქტიკისგან, როდესაც სამხედრო მოსამსახურეები არჩევნებში მონაწილეობას იღებდნენ დისლოკაციის ადგილის მიხედვით.<sup>16</sup>

ამის მიუხედავად, სპეცუბნის შექმნა და სამხედრო მოსამსახურეების მიერ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ხმის მიცემის წესი კვლავ აქტუალური გახდა საქართველოს პარლამენტის 2015 წლის 31 ოქტომბრის შუალედურ არჩევნებზე.

## რეკომენდაცია

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ სამხედრო მოსამსახურეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს რეგისტრაციის ადგილის მიხედვით არსებულ ჩვეულებრივ უბანზე. იმ შემთხვევაში, თუ ეს ვერ მოხერხდება, მაგალითად, ისეთ დროს, როდესაც სამხედრო მოსამსახურეს არ შეუძლია დაბრუნდეს სახლში კენჭისყრის დღეს, მან ხმა უნდა მისცეს იმ სამოქალაქო საარჩევნო უბანზე, რომელიც მისი სამხედრო ნაწილის (შენაერთის) განლაგების ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარეობს.

მიგვაჩნია, რომ სპეციალური უბანი უნდა შეიქმნას მხოლოდ გამონაკლის, მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში, მაგალითად, ისეთ დროს, როდესაც სამხედრო მოსამსახურეს, სამხედრო ვალდებულების გამო, არ შეუძლია დატოვოს სამხედრო ნაწილი სპეციალური რეჟიმის პირობებში ყოფნის დროს. ამით თავიდან იქნება აცილებული თავდაცვისა თუ შინაგან საქმეთა სამინისტროში დასაქმებული არასამხედრო მოქალაქეებისა და პოლიციელების არჩევნებში მონაწილეობა სპეციალური უბნების მეშვეობით.

შესაბამისად, საარჩევნო კოდექსით უნდა განისაზღვროს იმ საფუძვლებისა და შემთხვევების ამომწურავი ჩამონათვალი, რა დროსაც შესაძლებელია მიღებული იყოს გადაწყვეტილება გამონაკლისი საარჩევნო უბნების შექმნის თაობაზე. საარჩევნო კოდექსმა უნდა დაადგინოს მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმები,<sup>17</sup> თუ რა შემთხვევაში უნდა შეიქმნას ან არ შეიქმნას სპეციალური საარჩევნო უბნები, რათა მისი შექმნის ან არშექმნის თაობაზე გადაწყვეტილება არ იქცეს მანიპულაციის საბაბად. საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული უნდა იყოს იმ გარემოებათა სია, რომლებიც მიჩნეული იქნება რელევანტურად გამონაკლისი საარჩევნო უბნის შექმნის მიზნით წარდგენილი დასაბუთებული მოთხოვნისას.

## სპეციალურ სიაში შეყვანილი ამომრჩევლის ხმის უფლება

### პრობლემის არსი

ერთ-ერთ ყველაზე საკამათო საკითხად იქცა მაჟორიტარულ არჩევნებში იმ სამხედრო მოსამსახურეების მონაწილეობა, რომლებიც მსახურობენ რეგისტრაციის მისამართისგან განსხვავებულ ტერიტორიაზე. საქმე ის არის, რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსი, სპეციალურ სიაში შეყვანილი სხვა ამომრჩევლებისგან განსხვავებით, სამხედრო მოსამსახურეებისთვის ანესებს გამონაკლისს, მონაწილეობა მიიღონ მაჟორიტარულ არჩევნებში რეგისტრაციის მისამართისგან განსხვავებულ საარჩევნო ოლქში. აღნიშნული საკითხი არაერთხელ გახდა პოლიტიკური დისკუსიის საგანი. არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ სუბიექტებს არაერთხელ გამოუთქვამთ ეჭვი, რომ არჩევნების დღემდე სამხედრო ნაწილების გადაადგილება სხვადასხვა საარჩევნო ოლქში მიზნად ისახავს კონკრეტული პოლიტიკური პარტიის მაჟორიტარული წარმომადგენლის მხარდამჭერთა რიცხვის ხელოვნურ ზრდას. ამასთან, რთულია სამხედრო მოსამსახურეთა გადაადგილების მიზანშეწონილობასა და საჭიროებასთან დაკავშირებით სამოქალაქო მონიტორინგის განხორციელება.

## რეკომენდაცია

მიგვაჩნია, რომ სამხედრო მოსამსახურეების მიერ მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილეობის, ისევე როგორც ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობის საკითხი უნდა გადაწყდეს შემდეგნაირად: ხმის მიცემა დაკავშირებული უნდა იყოს ამომრჩევლის რეგისტრაციის მისამართთან. კერძოდ, მსგავსად სპეციალურ სიაში შეყვანილი სხვა პირებისა, სამხედრო მოსამსახურე არ უნდა სარგებლობდეს მაჟორიტარულ ან ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის უპირატესობით, როდესაც იგი იმყოფება იმ ოლქის ფარგლებს გარეთ, სადაც არის რეგისტრირებული.

<sup>15</sup> საიას 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მონიტორინგის ანგარიში.

<sup>16</sup> საიას 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მონიტორინგის ანგარიში.

<sup>17</sup> მაგალითად, სამხედრო მოსამსახურეებთან მიმართებით, კანონით ნათლად უნდა გაიწეროს, რომ სპეციალური უბანი უნდა შეიქმნას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მხოლოდ იმ სამხედრო მოსამსახურეებისთვის, რომელთაც სამსახურებრივი ვალდებულების გამო, კენჭისყრის დღისთვის არ შეუძლიათ დისლოკაციის ადგილის დატოვება (სპეციალური რეჟიმის პირობებში მყოფი სამხედრო მოსამსახურეები) და მათი რაოდენობა 50-ზე მეტია.

ასევე საჭიროა, ეს არასწორი პრაქტიკა შეიცვალოს და სასჯელსრულების დაწესებულებათა თანამშრომლებზე გავრცელდეს იგივე წესი, რაც, ჩვენი რეკომენდაციის შესაბამისად, გავრცელდება სამხედრო მოსამსახურეებზე. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ სპეციალურ სიას უნდა დაემატოს პენიტენციურ სისტემაში მომუშავე სპეციალურ მოსამსახურეთა წრეც.

#### 4. საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტება

##### პრობლემის არსი

საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობაზე, გამჭვირვალობასა და სანდოობაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მისი დაკომპლექტების წესი და მისი წევრების პროფესიონალიზმის, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ხარისხი.

გასული წლების საარჩევნო ციკლის დაკვირვების დროს ნათლად გამოიკვეთა, ერთი მხრივ, არაპროფესიონალიზმის, მეორე მხრივ, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრობლემა, როდესაც საარჩევნო კომისიების მიერ ხდებოდა იმ პირთა პროფესიული ნიშნით არჩევა, რომლებიც უახლოეს წარსულში სხვადასხვა პარტიას წარმოადგენდნენ საარჩევნო ადმინისტრაციაში. მართალია, რიგ შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონდა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევას, თუმცა, გამოკვეთილ ტენდენციებს შეეძლო, გარკვეული გავლენა მოეხდინა კომისიების მიუკერძოებელ და ობიექტურ მუშაობაზე, რაც უარყოფითად აისახებოდა საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობაზე და, ზოგადად, მისი ნდობის ხარისხზე.

##### რეკომენდაციები

##### ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი

მიგვაჩნია, რომ შემოღებული უნდა იყოს 2 განსხვავებული სირთულის სასერტიფიკაციო გამოცდა: ცესკოს, ოლქის და უბნის კომისიის წევრობის მსურველთათვის. ცესკოს და საოლქო კომისიის წევრობის მსურველებს უნდა განესაზღვროთ კონსტიტუციის, საარჩევნო, ადმინისტრაციული კანონმდებლობის, საარჩევნო პროცედურების კარგი ცოდნისა და სხვა შესაბამისი უნარების ქონის ვალდებულება, ხოლო უბნის კომისიის წევრებს მოეთხოვოთ არჩევნების დღის პროცედურების ცოდნა.

სერტიფიცირების შედეგად, თითოეული დონის საარჩევნო ადმინისტრაციისთვის უნდა შეიქმნას სანდო მონაცემთა ბაზა, საიდანაც, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, ყოველი არჩევნების წინ მოხდება საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტება. ბაზის შედგენისას, გათვალისწინებული უნდა იყოს ტერიტორიულობის პრინციპი.

#### I. ცესკო

##### ცესკოს შემადგენლობა

სასურველია, ცესკო დაკომპლექტდეს 7 წევრისაგან, რომლებსაც, 7 ან 5 წლის ვადით, აირჩევს საქართველოს პარლამენტი სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედით (მაღალი კვოტა).

**ალტერნატივა:** 7 წევრიდან 5-ს ირჩევს პარლამენტი, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, 1 წევრს ნიშნავს პრეზიდენტი, ხოლო 1 წევრს – უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მოსამართლეთა კორპუსიდან, რაც უზრუნველყოფს ცესკოს ფორმირებაში ხელისუფლების სამივე შტოს მონაწილეობას. ამასთან, ცესკოში წარმოდგენილი იქნება სამართლებრივი კვალიფიკაციის მქონე პირი.

ცესკო, მისი უფლებამოსილების ვადით, აირჩევს ცესკოს თავმჯდომარეს.

##### კანდიდატების წარდგენის უფლება და მათი კვალიფიკაცია

კანდიდატების წარდგენის უფლება უნდა ჰქონდეს პარლამენტს (ფრაქციები, არანაკლებ 10 კაციანი ჯგუფები), ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ადგილობრივი დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელსაც გააჩნია საარჩევნო და მომიჯნავე საკითხებზე მუშაობის არანაკლებ 10 წლიანი გამოცდილება.

**ალტერნატივა:** წარდგენაზე შეზღუდვები არ უნდა იყოს დაწესებული.

პარლამენტში კანდიდატების განხილვის და მოსმენის პროცედურა უნდა იყოს მაქსიმალურად საჯარო. წევრის არჩევა უნდა ხდებოდეს მხოლოდ დადგენილი კრიტერიუმების მკაცრი დაცვით.

ცესკოს წევრობისთვის უნდა განისაზღვროს განსაკუთრებული კრიტერიუმები. წარდგენილი კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ჰქონდეს უმაღლესი განათლება;

- გააჩნდეს სულ ცოტა 5 წლიანი პროფესიული გამოცდილება იმ სფეროში, რომელიც მას გაუადვილებს კომისიის წევრის ფუნქციების შესრულებას;
- ფლობს ცესკოს მოხელის სერტიფიკატს;
- ბოლო 3 წლის განმავლობაში არ ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი და პარტიის კანდიდატი;
- ზედიზედ ორ არჩევნებზე არ დაკისრებია დისციპლინური პასუხისმგებლობა, ასევე, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის გამო, შესაბამისი ორგანოს მიერ დადასტურების დღიდან ზედიზედ 2 მომდევნო არჩევნების პერიოდის ჩათვლით;
- სარგებლობს საზოგადოების ნდობით;
- ასევე, უნდა აკმაყოფილებდეს იმ მოთხოვნებს, რომლებიც გაწერილია საარჩევნო კოდექსის დღეს მოქმედი რედაქციით.

შეიძლება არსებობდეს კომისია, რომელიც გაფილტრავს წარდგენილ განცხადებებს.

## II. უსკო

უსკო დაკომპლექტდება ცესკოს პრინციპით, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ორგანიზაცია, რომელიც დაასახელებს კანდიდატს, უნდა ფუნქციონირებდეს (პროექტები, ადგილობრივი წარმომადგენლობა, არჩევნების დაკვირვება) აჭარის ტერიტორიაზე, ხოლო წევრებს აირჩევს უმაღლესი საბჭო.

## III. საოლქო კომისიები

### კომისიის შემადგენლობა

საოლქო კომისია დაკომპლექტდება 7 წევრისგან, რომელთაგან 4 ინიშნება 5 წლის ვადით, ხოლო 3 წევრი – არჩევნების დანიშნვიდან არაუგვიანეს 5 დღისა, შესაბამისი არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე ვადით.

წევრების დანიშვნა უნდა მოხდეს საოლქო კომისიის წევრთა ბაზაში არსებული კანდიდატებიდან შემთხვევითი შერჩევის გზით, რაც განხორციელდება საამისოდ სპეციალურად შემუშავებული კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით.

საოლქო კომისიის თავმჯდომარეს აირჩევს კომისია 5 წლის ვადით.

### კანდიდატების საკვალიფიკაციო მოთხოვნები

კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება;
- გააჩნდეს სულ ცოტა 3 წლიანი პროფესიული გამოცდილება იმ სფეროში, რომელიც მას გაუადვილებს კომისიის წევრის ფუნქციების შესრულებას;
- ფლობდეს ოლქის მოხელის სერტიფიკატს;
- ბოლო 2 წლის განმავლობაში არ ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი და პარტიის კანდიდატი;
- ზედიზედ ორ არჩევნებზე არ დაკისრებია დისციპლინური ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისთვის, შესაბამისი ორგანოს მიერ დადასტურების დღიდან ზედიზედ 2 მომდევნო არჩევნების პერიოდის ჩათვლით;
- ასევე, უნდა აკმაყოფილებდეს იმ მოთხოვნებს, რომლებიც გაწერილია საარჩევნო კოდექსში.

## IV. საარჩევნო უბნები

საუბნო კომისია შედგება 11 წევრისაგან, ამათგან წევრების გარკვეულ რაოდენობას ნიშნავენ სუბიექტები (მაგალითად, პარტიები, რომლებმაც უკანასკნელ ეროვნულ არჩევნებში გადალახეს 2%-იანი ბარიერი). გამომდინარე იქიდან, რომ პარტიათა რაოდენობა შესაძლებელია ყოველი არჩევნების შემდგომ შეიცვალოს, დანარჩენი წევრები დაინიშნებიან საუბნო კომისიის წევრობის მსურველთა ბაზაში არსებულ კანდიდატთაგან შემთხვევითი შერჩევის გზით, რაც განხორციელდება საამისოდ შემუშავებული კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით.

იმ შემთხვევაში, თუ ბარიერი გადალახა დადგენილ რაოდენობაზე მეტმა პარტიამ, წევრებს წარადგენენ მათ შორის საუკეთესო შედეგების მქონე პარტიები.

**ალტერნატივა:** საუბნო კომისიაში, ისევე როგორც ცესკოსა და ოლქში, ყველა წევრი დაინიშნოს პროფესიული ნიშნით. ამ შემთხვევაში, კომისიის წევრების რაოდენობა შეიძლება კიდევ უფრო ნაკლები იყოს.

საუბნო საარჩევნო კომისიები იქმნება საარჩევნო პერიოდში.



## 5. ადმინისტრაციული რესურსი

მართალია, 2013 წელს საარჩევნო კანონმდებლობაში გარკვეული ცვლილებები განხორციელდა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე შეზღუდვის დაწესების კუთხით,<sup>18</sup> თუმცა, გასული წლების საარჩევნო ციკლის შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით კვლავ რჩება პრობლემები, რომლებიც გარკვეულ საფრთხეს წარმოადგენს თანასწორი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფისთვის.

### პასიური აგიტაციის ცნების დამატება და გარკვეული კატეგორიის პირებისთვის კამპანიური ხასიათის ღონისძიებებზე დასწრების შეზღუდვა

#### პრობლემის არსი

საარჩევნო კოდექსით, აგიტაციისა და მასში მონაწილეობის ცნების არასათანადო განმარტება პრობლემებს ქმნიდა საარჩევნო სუბიექტებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის წინასაარჩევნო პერიოდში.<sup>19</sup> მაგალითად, გაურკვეველი იყო, შეეძლოთ თუ არა წინასაარჩევნო ღონისძიებაზე დასწრება იმ პირებს, რომლებსაც საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის ან კამპანიის წარმართვის უფლება შეზღუდული აქვთ საარჩევნო კოდექსით,<sup>20</sup> მათ შორის, არ იყო ნათლად განსაზღვრული, ჰქონდათ თუ არა წინასაარჩევნო ღონისძიებაზე დასწრების უფლება შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს და რა პირობებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხთან მიმართებით 2013 წლის არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისმა კომისიამ გაითვალისწინა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული ინსტრუქციები და გამოსცა რეკომენდაცია, რომლითაც დაადგინა წინასაარჩევნო აგიტაციის ცნება და მონაწილეობის პირობები.<sup>21</sup>

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინსტრუქციის მიხედვით, პოლიციის თანამშრომლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლოთ წინასაარჩევნო ღონისძიებაზე დასწრება, როდესაც ისინი სამსახურებრივ მოვალეობას არ ასრულებდნენ და პოლიციელის ფორმა არ ეცვათ.<sup>22</sup> ამგვარად განმარტა ეს საკითხი როგორც რაიონულმა, ასევე სააპელაციო სასამართლომ, როცა დაადგინა, რომ სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულ პოლიციელებს წინასაარჩევნო ღონისძიებაზე დასწრება არ ეკრძალებოდათ, რადგან ისინი სამსახურებრივ მოვალეობას არ ასრულებდნენ.<sup>23</sup>

#### რეკომენდაცია

დაკონკრეტდეს აგიტაციის დეფინიცია და განიმარტოს, რომ აგიტაცია მოიცავს როგორც აქტიურ, ასევე პასიურ ქმედებებს, რაც გამოიხატება წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში ჩატარებულ შეხვედრებზე დასწრებაში.<sup>24</sup> ასევე, დაზუსტდეს, თუ რა შემთხვევებშია შეზღუდული გარკვეული კატეგორიის პირებისთვის (სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, რელიგიური ორგანიზაციები და ა.შ.) კამპანიური ხასიათის ღონისძიებებზე დასწრება.

### თანამდებობის პირების ჩართულობა საარჩევნო პროცესებში

#### პრობლემის არსი

გასული არჩევნების პრაქტიკამ აჩვენა, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც თანამდებობის პირები აქტიურად არიან ჩართულნი წინასაარჩევნო კამპანიაში მმართველი პარტიის სასარგებლოდ. მაგალითად, 2015 წლის 31 ოქტომბრის შუალედურ საპარლამენტო არჩევნებზე მაღალი იყო როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა ჩართულობა წინასაარჩევნო პროცესებში და უშუალოდ არჩევნების დღეს.

მართალია, ამ შემთხვევაში, პოლიტიკური თანამდებობის პირების საარჩევნო პროცესებში აქტიური მონაწილეობით კანონმდებლობა არ დარღვეულა, მაგრამ ეს ხელს არ უწყობს თანაბარი საარჩევნო გარემოს შექმნას.

<sup>18</sup> [http://www.electionsportal.ge/uploads/reforms/12/analysis\\_interfaction\\_group\\_recommendations\\_GEO.pdf](http://www.electionsportal.ge/uploads/reforms/12/analysis_interfaction_group_recommendations_GEO.pdf)

<sup>19</sup> <http://www.osce.org/odihr/elections/110301?download=true>

<sup>20</sup> საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლი.

<sup>21</sup> <http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2FRecommendaciebi%2Fpdf%2FRecommendations%2030%2009%202013.pdf>

<sup>22</sup> კონსტიტუციის 25-ე მუხლის და შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონის 1.2-ე მუხლის მიხედვით, სამხედრო ძალების და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში მყოფ პირებს (მათ შორის, პოლიციელებს) შეკრების უფლება არ გააჩნიათ. გარდა ამისა, საარჩევნო კოდექსის 45.4-ე მუხლის მიხედვით, მათ წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვის და მასში მონაწილეობის უფლება არ აქვთ. ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის ევროპის კონვენციის მე-11 მუხლის მიხედვით, შეკრებების და გაერთიანებების თავისუფლების კანონიერი შეზღუდვის საფუძველი შეიძლება არსებობდეს, თუ ეს ეხება შეიარაღებულ ძალებს, პოლიციას ან სახელმწიფო ადმინისტრაციის წევრებს. ასევე, მნიშვნელოვანია ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების, ადამიანის უფლებების ოფისის და ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის მიერ შედგენილი „სახელმძღვანელო პრინციპები მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების შესახებ“ (მეორე გამოცემა) ([www.osce.org/odihr/73405](http://www.osce.org/odihr/73405)), რომელშიც აღნიშნულია, რომ კანონმდებლობით არ უნდა იყოს შეზღუდული სამართალდამცავების (მათ შორის, პოლიციელთა) და სამხედროთა) ან სახელმწიფოს ოფიციალური პირების შეკრების თავისუფლება, თუ ეს შეზღუდვა მათი მოვალეობების აღსრულებასთან პირდაპირ არ არის დაკავშირებული. ამ შემთხვევაშიც, აღნიშნული შეზღუდვა ზუსტად იმ ხარისხის უნდა იყოს, რომელიც აუცილებელია მათი პროფესიური მოვალეობების აღსრულებიდან გამომდინარე.

<sup>23</sup> <http://www.osce.org/odihr/elections/110301?download=true>

<sup>24</sup> საუბარია არჩევნების თარიღის დანიშვნის შემდგომ პერიოდზე.

## რეკომენდაცია

ადამიანური განზომილების შესახებ ეუთოს კოპენჰაგენის კონფერენციის დოკუმენტში ჩამოყალიბებული მოსაზრების თანახმად, უნდა არსებობდეს „ნათელი განსხვავება სახელმწიფოსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის“.<sup>25</sup>

კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს პარტიულ საქმიანობასა და საჯარო სამსახურს შორის უფრო მკაფიო ზღვრის გავლენა. ამასთან, დაცული უნდა იყოს თავად საჯარო მოხელეთა უფლება აზრის თავისუფლად გამოხატვაზე.

ვფიქრობთ, კონკურენტული საარჩევნო გარემოს შექმნის მიზნით, უნდა დავინროვდეს იმ პოლიტიკური თანამდებობის პირთა წრე, რომლებსაც შეუზღუდავად შეეძლებათ არჩევნებში მონაწილეობა. შესაბამისად, საარჩევნო კოდექსში უნდა განხორციელდეს ცვლილება იმასთან დაკავშირებით, რომ მინისტრის მოადგილესა და სახელმწიფო რწმუნებულს-გუბერნატორს არ ჰქონდეთ წინასაარჩევნო კამპანიაში შეუზღუდავად მონაწილეობის უფლება, მათ შორის, სამუშაო საათებში.

## 6. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინსტიტუციური დამოუკიდებლობა

### პრობლემის არსი

მოქმედი კანონმდებლობით, პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო სუბიექტების დაფინანსების მონიტორინგს სახელმწიფო აუდიტის სამსახური ახორციელებს. მაკონტროლებელი ორგანოს არსებობა, თავისთავად, დადებით ფაქტს წარმოადგენს, თუმცა, 2012 წლის საარჩევნო ციკლის პერიოდში გამოკვეთილი ტენდენციებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფილი უნდა იყოს აუდიტის სამსახურის უფრო მეტი დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, რათა ეჭვქვეშ არ დადგეს სამსახურის მანდატი და საქმიანობა.

ამ პრობლემის არსებობის შესახებ აღნიშნულია ასევე კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) მესამე რაუნდის ანგარიშში, რომელიც ხელისუფლებას მოუწოდებს, შექმნას უსაფრთხოების გარანტია. კერძოდ: GRECO-ს რეკომენდაციის თანახმად, პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო კამპანიის დაფინანსების მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანო უნდა იყოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დამოუკიდებლობა პოლიტიკური დაფინანსების ზედამხედველობის კუთხით.<sup>26</sup>

## რეკომენდაცია

მიგვაჩნია, რომ აუდიტის სამსახურის დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისა და პოლიტიკური გავლენისაგან მისი დაცვის მიზნით, შეზღუდვები უნდა დაწესდეს აუდიტის სამსახურის მაღალი თანამდებობის პირების – გენერალური აუდიტორისა და მისი მოადგილეების პოლიტიკურ/პარტიულ საქმიანობაზე, არა მხოლოდ თანამდებობაზე მათი ყოფნის მანძილზე, არამედ გარკვეული პერიოდით ადრე თანამდებობის დაკავებამდე და, ასევე, უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ. კერძოდ, ეს პირები თანამდებობაზე დანიშნვამდე 4 წლის და უფლებამოსილების შეწყვეტიდან 3 წლის განმავლობაში არ შეიძლება დასახელებულნი იყვნენ კანდიდატებად რომელიმე არჩევით ორგანოში, გახდნენ პარტიის წევრები ან პოლიტიკური თანამდებობის პირები. ასეთი შეზღუდვა გამორიცხავს აუდიტის სამსახურის ზემოხსენებული თანამდებობის პირების კავშირს რომელიმე პარტიასთან, ასევე, მათ საქმიანობას პოლიტიკური ინტერესების გავლენით, რაც უზრუნველყოფს აუდიტის სამსახურის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობას.

## 7. ამომრჩევლის მოსყიდვა

### პრობლემის არსი

ამომრჩევლის მოსყიდვის საკანონმდებლო რეგულირება ბუნდოვანი და არაგანჭვრეტადია. ამასთან, დეფინიციები და შესაბამისი სანქციები მოცემულია სამ სხვადასხვა საკანონმდებლო აქტში, რაც განაპირობებს არსებული რეგულაციების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანის საჭიროებას. მივიჩნევთ, რომ მნიშვნელოვანია აღნიშნული განმარტებების ჰარმონიზაცია და იმ ბუნდოვანებების ამოღება დეფინიციებიდან, რაც ამომრჩევლის მოსყიდვის ცნების ფართოდ და დაუსაბუთებლად განმარტების შესაძლებლობას ქმნის. მაგალითად, პრობლემურია სისხლის სამართლის ნორმის ის ჩანაწერი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას „კანონით დადგენილი შეზღუდვებისათვის თავის არიდების მიზნით მოჩვენებითი, თვალთმაქცური ან სხვა გარიგების დადების გამო.“ ვფიქრობთ, ამ ჩანაწერით ნორმა სცილდება მის მიზნებს და განსაზღვრავს პასუხისმგებლობას კანონით დადგენილი ნებისმიერი შეზღუდვისაგან თავის არიდების შემთხვევაში. ამასთან, სისხლის სამართლის მუხლის მოქმედი რედაქცია ითვალისწინებს მოსყიდვისათვის ამომრჩევლის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ჯარიმით ან სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

<sup>25</sup> მუხლი 5.4

<sup>26</sup> შეფასების ანგარიშის 74-ე პარაგრაფის მიხედვით „მონიტორინგის განმახორციელებელი ნებისმიერი ორგანო, პირველ რიგში, უნდა მოქმედებდეს მიუკერძოებლად“, რაც აღნიშნულია ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის (OSCE/ODIHR) ანგარიშში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით <http://www.osce.org/odihr/98399>.

მივიჩნევთ, რომ კანონმდებელმა ზემოაღნიშნულის დეკრიმინალიზაცია უნდა მოახდინოს და ამ პროცესში გაითვალისწინოს არა მხოლოდ საერთაშორისო გამოცდილება, არამედ ქვეყნის კონტექსტიც, კერძოდ, ისეთი სოციალური ფაქტორები, როგორცაა: უმუშევრობის პრობლემა, სიღარიბის მაჩვენებელი, ამომრჩევლის ცნობიერების დაბალი დონე და სხვა.

## რეკომენდაცია

გთავაზობთ, ამომრჩევლის მოსყიდვის რეგულირების ზოგად პრინციპებს:

- ⇒ მნიშვნელოვანია, მოხდეს სხვადასხვა საკანონმდებლო აქტში მოცემული ამომრჩევლის მოსყიდვის ცნებების ჰარმონიზაცია;
- ⇒ მსგავსად საარჩევნო კოდექსისა, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონში მოცემული რეგულირება უნდა მოქმედებდეს, ნებისმიერ შემთხვევაში, თანხობრივი ლიმიტის გარეშე;
- ⇒ სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად ქმედებად უნდა განიხილებოდეს, ამომრჩევლის მოსყიდვა საარჩევნო მიზნით – 300 ლარზე მეტი ოდენობით (თანხობრივი ზღვარი მოცემული იქნება მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსში);
- ⇒ ამოღებულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის ნორმის ის ჩანაწერი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას „კანონით დადგენილი შეზღუდვებისათვის თავის არიდების მიზნით მოჩვენებითი, თვალთმაქცური ან სხვა გარიგების დადების გამო.“
- ⇒ ამომრჩევლის მოსყიდვისთვის გამორიცხული უნდა იყოს მოქალაქის, როგორც სისხლის სამართლებრივი, ისე ადმინისტრაციულ სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

## 8. საარჩევნო დაჯები

### 1. გასაჩივრების პროცედურების მარეგულირებელი ნორმების გამარტივება

#### პრობლემის არსი

საარჩევნო კოდექსის ნორმები, ერთი მხრივ, აწესრიგებს კენჭისყრის დღეს განცხადების/საჩივრის შედგენისა და წარდგენის წესს კენჭისყრის, ხმის დათვისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურების დარღვევასა და განხილვასთან დაკავშირებით,<sup>27</sup> ხოლო მეორე მხრივ, ადგენს ზოგად რეგულაციებს გასაჩივრების ვადისა და წესის შესახებ. თუმცა, საარჩევნო კოდექსში გასაჩივრების პროცედურების ბუნდოვნება და ორაზროვნება კოდექსის ერთი და იგივე ნორმის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საფუძველია როგორც საარჩევნო კომისიებისა და სასამართლოების, ისე საჩივრების ავტორთა მხრიდან. მსგავსმა ფაქტორებმა, შესაძლოა, საჩივრების განხილვის არათანმიმდევრული და არაერთგვაროვანი პრაქტიკა შექმნას. ამის ნათელი მაგალითია 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნების პერიოდში გორის რაიონული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. კერძოდ, სასამართლომ განუხილველად დატოვა საიას დამკვირვებლის საჩივარი საარჩევნო უბანზე ხმის დათვისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურის დარღვევისთვის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე იმ მოტივით, რომ საჩივარი საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესის დარღვევით იყო წარდგენილი. სასამართლომ ამ შემთხვევაში იხელმძღვანელა საარჩევნო კოდექსის 77-ე მუხლის მე-4 პუნქტით და განმარტა, რომ „რაიმე საკითხთან დაკავშირებით პირველადი აქტი გამოაქვს საოლქო საარჩევნო კომისიას ან მის ხელმძღვანელ პირს. ეს აქტი საჩივრდება ჯერ ცესკოში, ხოლო შემდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოში.“ ამის საპირისპიროდ, საარჩევნო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, აღნიშნულ საჩივარს, მათ შორის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე, განიხილავს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია, რომლის გადაწყვეტილება საჩივრდება მხოლოდ სასამართლოში (თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 23 ივნისის №3ბ/868-14 განჩინება).

#### რეკომენდაცია

მიგვაჩნია, რომ საარჩევნო კოდექსში მარტივი და განჭვრეტადი სახით უნდა გაიწეროს გასაჩივრების საკითხებთან დაკავშირებული ნორმები. კერძოდ, ნათლად უნდა ჩამოყალიბდეს კენჭისყრის დღეს დაფიქსირებულ დარღვევებზე განცხადების/საჩივრების შედგენისა და წარდგენის წესი, რათა ნორმების ბუნდოვნება აღარ გახდეს ცალკეული საკითხების მრავალგვარი ინტერპრეტაციისა და სხვადასხვა გაუგებრობის საფუძველი.

<sup>27</sup> საარჩევნო კოდექსის 72, 73 და 74-ე მუხლები.

## I. გასაჩივრების ვადების ათვლა

### პრობლემის არსი

კოდექსის დღეს მოქმედი რედაქციის თანახმად, არ დგინდება საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მომჩივნისთვის ჩაბარების ვადა.

დავებისათვის დადგენილი მცირე ვადების ფონზე, უარყოფითად აისახება გასაჩივრების ვადის ათვლა გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან და არა – მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემიდან. ეს ერთ-ერთი ხელშემშლელი ფაქტორია საჩივრის ავტორისათვის, ნარადგინოს დასაბუთებული საჩივარი მოცემულ გადაწყვეტილებაზე.

### რეკომენდაცია

საჩივრის ნარდგენისა და განხილვის პროცედურების ეფექტურობის გასაზრდელად, საჭიროა, გასაჩივრების ვადების ათვლა დაიწყოს არა გადაწყვეტილების მიღებიდან, არამედ მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის დღიდან.<sup>28</sup> აგრეთვე, უნდა განისაზღვროს, რომ საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება მხარეს გადაეცეს მომდევნო დღის 12:00 საათამდე.

ასევე, უნდა განისაზღვროს გადაწყვეტილების საჯაროდ გამოქვეყნების ვალდებულება (ცესკოს ვებგვერდზე) იმ შემთხვევაში, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია, ან ვერ ხერხდება მისთვის გადაწყვეტილების ჩაბარება.

## II. სუბიექტთა წრე

### პრობლემის არსი

დამკვირვებელი არის დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციის წარმომადგენელი საარჩევნო უბანზე, რომელიც მოქმედებს ამ ორგანიზაციის ინტერესების შესაბამისად საარჩევნო ადმინისტრაციასა თუ სასამართლოში. ამასთან, საარჩევნო კოდექსი, კერძოდ, 78-ე მუხლი აყალიბებს რა სხვადასხვა ტიპის დავებზე მოსარჩელე პირთა წრეს, აწესებს დიფერენცირებულ მიდგომას დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციისა და მისი დამკვირვებლის მიმართ. აღნიშნულ მუხლში ერთი ტიპის დავებზე მოსარჩელედ დასახელებულია თავად ორგანიზაცია, ხოლო სხვა შემთხვევაში – ორგანიზაციის დამკვირვებელი საოლქო თუ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თითქმის მსგავსი ტიპის დავებზე, მაგალითად, საუბნო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმის გასაჩივრების შემთხვევაში, ზემდგომი საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულების გამო, სასამართლოში მიმართვის უფლება აქვს დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას, ხოლო, საარჩევნო უბანში კენჭისყრის შედეგების ბათილად ცნობის ან არცნობის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულების გამო, სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვს მხოლოდ არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციის დამკვირვებელს, შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში. აღნიშნული გარკვეულ პრობლემებს უქმნის ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციებს, ეფექტურად მართონ საკუთარი რესურსები, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ წინასაარჩევნო პერიოდი და, მით უფრო, არჩევნების დღე საკმაოდ დატვირთულ რეჟიმში მიმდინარეობს.

იმავდროულად, მნიშვნელოვანია გადაიხედოს 78-ე მუხლის ცალკეული პუნქტები, რომელთა მიხედვით, რიგ შემთხვევებში, დამკვირვებელ ორგანიზაციას არ აქვს უფლება, იყოს მოსარჩელე და სასამართლოში ნარადგინოს სარჩელი საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისთვის.<sup>29</sup>

### რეკომენდაცია:

მიგვაჩნია, რომ არ უნდა არსებობდეს ასეთი მკვეთრი დიფერენციაცია და დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს საშუალება, თავადაც იყოს დასახელებული მოსარჩელედ ყველა იმ დავაზე, სადაც, დღეს მოქმედი კანონმდებლობით, სასამართლოში სარჩელის ნარდგენის უფლება კონკრეტულ საარჩევნო კომისიაში მხოლოდ მის წარმომადგენელს აქვს. აღნიშნული ცვლილება, ვფიქრობთ, გააადვილებდა ისედაც მძიმე სამუშაოს საუბნო ან ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიებში ორგანიზაციების დამკვირვებლებისთვისაც.

<sup>28</sup> ვენეციის კომისიის და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის ერთობრივი მოსაზრება საქართველოს საარჩევნო კოდექსზე, 2010 წლის მარტის შესწორებებით. მიღებულია დემოკრატიული არჩევნების საბჭოს მიერ 33-ე შეხვედრაზე (ვენეცია, 3 ივნისი, 2010) და ვენეციის კომისიის 83-ე პლენარულ სესიაზე (ვენეცია, 4 ივნისი, 2010) [http://www.venice.coe.int/docs/2010/CDL-AD\(2010\)013-e.asp](http://www.venice.coe.int/docs/2010/CDL-AD(2010)013-e.asp) retrieved on 4 February 2011. para 71.

<sup>29</sup> საარჩევნო კოდექსის 78-ე მუხლის მე-10 პუნქტის მიხედვით, სასამართლომ არ დააკმაყოფილა საიას დამკვირვებლის სარჩელი და განმარტა, რომ საარჩევნო კოდექსის 41-ე მუხლი, რომლის მიხედვით, დამკვირვებლის უფლებამოსილებას არ წარმოადგენს საარჩევნო ბლოკის წარმომადგენლის რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა და მათზე რეაგირება (ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 19.06.2014 წლის განჩინება, საქმე #020310014526651(3/41-14)).



აგრეთვე, მნიშვნელოვანია, დაზუსტდეს სუბიექტთა წრე და საარჩევნო კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ ყველა შემთხვევაში გასაჩივრების უფლება ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებსაც განესაზღვროს (მაგალითად, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის რეგისტრაციის საკითხი).

### III. სარჩელის და საჩივრის ფორმები

#### პრობლემის არსი

საარჩევნო დავებთან დაკავშირებით, სასამართლოში სარჩელისა და სააპელაციო საჩივრის წარდგენა ხდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმებით. აღნიშნული ფორმები არ არის მორგებული საარჩევნო დავების სპეციფიკაზე. ისინი, ჩვეულებრივ, გამოიყენება სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე, სადაც სარჩელის წარდგენის ვადა 1 თვემდე მერყეობს. მაშინ, როდესაც საარჩევნო დავებზე გასაჩივრების ვადა მინიმალურია – ძირითადად 2 დღე. მოქალაქეების და გასაჩივრების უფლების მქონე სხვა პირთა მიერ სარჩელის არსებული ფორმების შევსება ან მათ შევსებასთან დაკავშირებით შესაბამისი სამართლებრივი კონსულტაციის მიღება ადვილი არ არის.

#### რეკომენდაცია

მნიშვნელოვანია, რომ გასაჩივრების პროცედურა იყოს მარტივი, რასაც ხელს შეუწყობს ამომრჩევლებისთვის საჩივრის სპეციალური ფორმების მიწოდება.<sup>30</sup> გამომდინარე იქიდან, რომ საარჩევნო დავები ვადებში ძალიან შემჭიდროებულია, უპრიანი იქნება, თუ, საარჩევნო კოდექსის ცვლილებების მიხედვით, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დაევალება გაცილებით მარტივი ფორმების შემუშავება ნებისმიერი საარჩევნო დავისთვის (საარჩევნო ადმინისტრაციის გადანყვეტილების, მოქმედების ან უმოქმედობის გასაჩივრება), იმის გათვალისწინებით, რომ მათი შევსების ვადები, სხვა შემთხვევებისგან განსხვავებით, ძალიან მცირეა.

### 9. მედია რეგულაცია

#### მეორე ტურისთვის მედიის ხელმისაწვდომობა

#### პრობლემის არსი

არჩევნების მეორე ტურის შემთხვევაში, საარჩევნო კოდექსი არ ითვალისწინებს საარჩევნო კამპანიის გაშუქების, საარჩევნო სუბიექტებისთვის მედიაზე ხელმისაწვდომობის აუცილებლობასთან დაკავშირებულ რეგულაციებს.

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურის დროს ცესკომ და კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, წინასაარჩევნო კამპანიის საინფორმაციო უზრუნველყოფისა და არჩევნების კონკურენტულ გარემოში გამართვის უზრუნველყოფის მიზნით, მიმართეს მაუნყებლებს, რათა ამ უკანასკნელებს გაეგრძელებინათ წინასაარჩევნო კამპანიის საინფორმაციო უზრუნველყოფა.<sup>31</sup>

#### რეკომენდაცია

მიგვაჩნია, რომ საარჩევნო უფლების რეალიზაციის ხელშეწყობის, წინასაარჩევნო კამპანიის საინფორმაციო უზრუნველყოფისა და არჩევნების კონკურენტულ გარემოში გამართვის მიზნებიდან გამომდინარე, საკანონმდებლო დონეზე უნდა დარეგულირდეს წინასაარჩევნო კამპანიის მედიაგაშუქება არჩევნების მეორე ტურისათვის.

<sup>30</sup> Code of Good Practice in Electoral Matters, Guidelines and Explanatory Report, Venice Commission, para. 96.

<sup>31</sup> <http://www.cesko.ge/uploads/other/28/28702.pdf>